

აფხაზეთის მთავრობის
დადგენილება

№16 2010 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის
მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი
ცენტრის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი.

მუხლი 2. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ (დ. ხომერიკი):

ა) განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

მუხლი 3. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ (დ. ხომერიკი) და აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრომ (ნ. სეჟანია) უზრუნველყონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრისთვის საჭირო ქონების გადაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

მუხლი 4. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის მთავრობის აპარატმა (მ. თორია).

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე

გიორგი ბარამია